











თავი III

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 4599,9 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

Table with columns: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის გეგმა, 2018 წლის პროგნოზი. Rows include ხარჯები, შრომის ანაზღაურება, საკონსტრუქციო და მომსახურება, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები.

მუხლი 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 34,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 270 ათასი ლარის ოდენობით

Table with columns: კოდი, დასახელება, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის გეგმა, 2018 წლის პროგნოზი. Rows include 01 00, 02 00, 03 00, 04 00, 05 00, სულ ჯამი.

ბ) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 235,8 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

Table with columns: დასახელება, კოდი, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის გეგმა, 2018 წლის პროგნოზი. Rows include არაფინანსური აქტივების კლება, ძირითადი აქტივები.

მუხლი 9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ათას ლარებში

Table with columns: ფუნქციონალური კოდი, დასახელება, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის გეგმა, 2018 წლის პროგნოზი. Rows include 701, 7011, 70111, 70112, 702, 703, 7031, 7032, 704, 7042, 70421.

Table with columns: კოდი, დასახელება, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის გეგმა, 2018 წლის პროგნოზი. Rows include 7045, 70451, 7049, 705, 7051, 706, 7061, 7063, 7064, 7066, 707, 7074, 708, 7081, 7082, 7084, 709, 7091, 7098, 710, 7104, 7107, 7109.

თავი IV

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 270 ათასი ლარის ოდენობით

მუხლი 11. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ათასი ლარის ოდენობით

ბ) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 ათასი ლარის ოდენობით

მუხლი 12. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 270 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

Table with columns: ვალდებულებების ზრდა, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის გეგმა, 2018 წლის პროგნოზი. Row includes საშინაო.

ა) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 270 ათასი ლარის ოდენობით

Table with columns: ვალდებულებების კლება, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის გეგმა, 2018 წლის პროგნოზი. Row includes საშინაო.

თავი V

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2018-2021 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13 ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

1. თავდაცვა და უსაფრთხოება 78 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ბაღდათის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 1045 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დიალუზით მოსარგებლე მოქალაქეთა სამედიცინო დაწესებულებებში ტრანსპორტირებისათვის სატრანსპორტო ხარჯების დაფარვა.

**5.2.11 ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვების ოჯახების დახმარება 5 თასი ლარი (პროგრამული კოდი 06 02 13)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე დახმარებების გაცემა.

**თავი VI  
ზღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

**მუხლი 14. ზღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

Table with columns: მუნიციპალიტეტი, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის გეგმა, 2018 წლის პროგნოზი. Rows include various budget categories like 'ზღდათის მუნიციპალიტეტი', 'საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური', etc.

Table with columns: მუნიციპალიტეტი, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის გეგმა, 2018 წლის პროგნოზი. Rows include various budget categories like 'ხარჯები', 'არაფინანსური აქტივების ზრდა', 'კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები', etc.



Table with 10 columns: ID, Project Name, and numerical values. Rows include '06 02 11' and '06 02 12'.

თავი VII

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 15.

ბარათის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 16.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებების განაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 17.

2018 წლის განმავლობაში ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე დანაშაულები გაიყოს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 18.

1. მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებში ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამტატო რიცხვონობის 10%-ს, ხოლო სადაც სამტატო რიცხვონობის 10%-ი შეადგენს 5 ერთეულზე ნაკლებს, ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს.

მუხლი 19.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დეველოპთ გაგეგმვის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი თვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ბაღდათის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისა და დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21.

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 22.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 23.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 79 ათასი ლარი მინიმუმს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობას, 47 ათასი ლარი ა(ა)იპ ბაღდათის

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებას. 2 ათასი ლარი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დაკრძალვას.

მუხლი 24.

2018 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 20 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

თავი VIII

მუხლი 26.

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის არაორბიუჯეტო დოკუმენტის დოკუმენტაცია

2017 წელი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას სამშალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასავლეთი და დასავლეთი შემდგომი სამი წლისათვის.

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2018 -2021 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია;
• მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
• მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება;
• სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა;
• სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა;
• სოციალური პროგრამების დაფინანსება;

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ძირითადი მონაცემები 2018-2021 წლებში

Table with 8 columns: Index, Code, 2015, 2016, 2017, 2018, 2019, 2020, 2021. Rows include 'შემოსულობები', 'შემოსავლები', 'არაფინანსური აქტივების კლება', etc.

Table with 10 columns: Description, and numerical values. Rows include 'ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე', 'სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე', etc.

Table with 9 columns: Description, 2015, 2016, 2017, 2018, 2019, 2020, 2021. Rows include categories like 'საქონლის და მომსახურების რეალიზაცია', 'ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები', 'საწარმოო მოსაკრებელი', etc.

2015-2017 წლების მოკლე მიმოხილვა

2015 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 8666,3 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადები 332,7 ათასი ლარი, გრანტები 6558,3 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 625,9 ათასი, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლი 90,8 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლი 1058,6 ათასი ლარი.

2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან და საკუთარი შემოსავლებიდან დაფინანსდა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, #2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, შექმნილი იქნა სათვალთვალო ვიდეოკამერები, ლიზინგის გზით შექმნილია სპეცტექნიკა, რეაბილიტირებული იქნება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები.

გარდა ამისა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიღებული სახსრებით დაფინანსდა სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, სასოფლო გზების შეკეთება, საბავშვო ბაღების და თავშესაფრის ადგილების ნაწილობრივი შეკეთება, სპორტული მოედნების შეკეთება, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, გარე განათების რეაბილიტაცია.

2016 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 10215 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადები 746,2 ათასი ლარი, გრანტები 7187,3 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 706,6 ათასი, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლი-201 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლი 1373,9 ათასი ლარი.

2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან და საკუთარი შემოსავლებიდან დაფინანსდა, სოფლებში, პირველი ოზა, მეორე ოზა, ხანი, დიმი და ფერსათის საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, რეაბილიტირებული იქნება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხებით რეაბილიტირებული იქნება სტიქის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტები. სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში აუშენდათ საცხოვრებელი სახლები და გამოეცვალათ საცხოვრებელი სახლის სახურავები.

2017 წლის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები გეგმით გათვალისწინებულია 10626,2 ათასი ლარი. მათ შორის გადასახადები 800 ათასი ლარი, გრანტები 7611,6 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 485 ათასი, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლი-140 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლი 1589,6 ათასი ლარი.

2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან და საკუთარი შემოსავლებიდან დაფინანსდება; სოფ.პირველ და მეორე ოზის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია, სოფ.ფერსათისა და წითელხევში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, წყლის სათაო ნაგებობის, წყალმომარაგების რეზერვუარის და მაგისტრალური ქსელის მოწყობა; სოფელ პირველ ოზაში მთისძირისკენ მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; ქ.ბაღდათში სალხინო ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფ.დიმში მამუკაშვილების სესახვევიდან ეკლესიამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია; ბაღდათის -საკრაულას ადგი. მნიშვნელობის ს/გზის საკრაულა-წიფის მონაკვეთის რეაბილიტაცია; სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბაღდათის რაიონული ცენტრის მშენებლობა; ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობა; ქ. ბაღდათში ე.თოდამის ქუჩის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია; სოფ. დიმში ადამაძეების და გიორგიძეების უბანში მდ. ხანისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობა; . ბაღდათში ბაღდათის ქუჩის გზის სავალი ნაწილის, გვერდულის და აგროზაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა

Table with 9 columns: .ორგ კოდი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის ფაქტი, 2018 წლის -პროგნოზი, 2019 წლის -პროგნოზი, 2020 წლის -პროგნოზი, 2021 წლის -პროგნოზი. Rows include 'ბაღდათის მუნიციპალიტეტი სულ', 'წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება', 'თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება'.

Table with 9 columns: .ორგ კოდი, აღწერა, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის ფაქტი, 2018 წლის -პროგნოზი, 2019 წლის -პროგნოზი, 2020 წლის -პროგნოზი, 2021 წლის -პროგნოზი. Rows include 'ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია', 'განათლება', 'კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები', 'მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა'.

გარდა ამისა, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მიღებული სახსრებით დაფინანსდება .სოფ. შუბანის დამეწყობილი გზის გვერდულების აღდგენა გამაგრება და ყოფილი რაკვამირის შენობის სახურავის რეაბილიტაცია.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევანდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

Table with 9 columns: .ორგ კოდი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის ფაქტი, 2018 წლის -პროგნოზი, 2019 წლის -პროგნოზი, 2020 წლის -პროგნოზი, 2021 წლის -პროგნოზი. Rows include 'თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება', 'ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა'.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ბაღდათის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევანდელთა აღრიცხვა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: • არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის,სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია; შედეგების შეფასების ინდიკატორები:

• საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა. 2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასახვევებში პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება რაზ-ის თანადაფინანსება.

Table with 9 columns: .ორგ კოდი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, 2015 წლის ფაქტი, 2016 წლის ფაქტი, 2017 წლის ფაქტი, 2018 წლის -პროგნოზი, 2019 წლის -პროგნოზი, 2020 წლის -პროგნოზი, 2021 წლის -პროგნოზი. Rows include 'ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია', 'საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა', 'ტროტუარების მოწყობა მოვლა პატრონობა', 'ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია', 'კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია', 'ა(ი)პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება', 'სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია', 'საწილავი არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია', 'გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია', 'მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია', 'წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია', 'მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები', 'ქალაქის გამწვანება', 'საკადასტრო რუქის დამზადება', 'შადრევნების ექსპლოატაცია'.













# ბნა-რეკლი

სახალხო დღესასწაულის, „ბაღდათობა 2017“-ის საზეიმო ღონისძიებები 12 საათზე დაიწყო. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული მერი არჩილ გოგსაძე, ბაღდათისა და ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, გამგეობისა და საკრებულოს მესვეურები სტუმრებს – იმერეთში სახ-

ელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს გივი ჭიჭინაძეს, პირველ მოადგილეს გიორგი დალაქიშვილს და იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების მესვეურებს საკათედრო ტაძარში შეეგებნენ, სადაც ბაღდათის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის დღესასწაულთან დაკავშირებით, საზეიმო წირვას აღავლენდა ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მიტროპოლიტი ანტონი, ეპარქიის სამღვდლოებასთან ერთად.

სტუმრებმა ბაღდათელებთან ერთად დაათვალიერეს თავისუფლების მოედანზე მოწყობილი ეთნოკუთხეები, ა.ა.ი.პ. საინფორმაციო, ინოვაციური ტექნოლოგიების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების ფონდის ორიგინალური გამოფენა, თვალი ადევნეს ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტს და სპორტულ შეჯიბრებებს.

კულტურის ცენტრში კი გაიმართა ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტი და ბაღდათის საპატიო მოქალაქეთა დაჯილდოება. ეს საპატიო წოდება წელს ხუთ ღირსეულ ბაღდათელს ერგო – ნოდარ მაშანიშვილი, ვახტანგ იოსებაშვილი, ნარგიზა ბუხუღეიშვილი, შუქრი ნაკაშიძე და გია მეფარიშვილი.

## საქართველ ყვებურის თვარით

## BBC და მიაკოვსკი

### ბაღდათი უმტლანდის გვამონავს



მერ მიაკოვსკის ბაღდათში გატარებულ წლებზე, მის ბავშვობაზე. ასევე თუ როგორ დაიწყო მიაკოვსკის, როგორც პოეტის, შემოქმედებითი გზა, რაში მდგომარეობს მისი გენიალურობა, რუსეთში გამგზავრებაზე რა იყო პოეტის შთაგონების წყარო, რა ასაზრდოებდა მის პოეტურ ენერგიას.

BBC-ის ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი პოეტის შესახებ უცნობია, არადა, ის გენიალური პოეტია და მის ფენომენს უკეთ უნდა იცნობდეს მსოფლიო მკითხველი. შეკითხვაზე, თუ საიდან დაიბადა პოეტზე გადაცემის გაკეთების იდეა, იან სამსონმა, რომელიც ჟურნალისტის გარდა მწერალიც გახლავთ, გვიპასუხა, რომ ის ბავშვობიდან იყო დაინტერესებული მიაკოვსკით და რუსულის არ ცოდნის გამო არ იცნობდა სრულყოფილად პოეტის შემოქმედებას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იმ დროისთვის მიაკოვსკის პოეზია ინგლისურ ენაზე არ იყო თარგმნილი.

სწორედ ეს გახდა მათი ბაღდათში ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი. სრული რეპორტაჟი 19 ნოემბერს გადაიცა რადიო ეთერში და მას 45 წუთი დაეთმო.

ვ. ვ. მიაკოვსკის სახლ-მუზეუმში სტუმრობისას „ჩემი გაზეთი“ გაესაუბრა ჟურნალისტებს იმის შესახებ, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ბაღდათმა მათზე. იან სამსონმა გვიპასუხა, რომ მოიხიბლა ხასხასა მწვანე მთაგრეხილებით, ხოლო კონერ გარეგნა აღნიშნა, რომ ბაღდათი მას შოტლანდიას აგონებს.

ენო სახამბერიძე

19 ოქტომბერს ბაღდათის მუნიციპალიტეტს, კერძოდ, ვლადიმერ მიაკოვსკის სახელობის სახლ-მუზეუმს BBC რადიო 3-ის ჟურნალისტები იან სამსონი და კონერ გარეტი ესტუმრნენ. BBC რადიო 3 წარმოადგენს რადიოსადგურს, რომელშიც გადაცემები ეთმობა უშუალოდ ხელოვნებას და კულტურას მსოფლიოს მასშტაბით.

ჟურნალისტების ჩამოსვლის მიზანი იყო, ჩაენერათ დოკუმენტური გადაცემა, ვლადი-



## საკათედრო ტაძარი



1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართულ ეკლესიაში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იქნა 1917 წელს ავტოკეფალიის დაბრუნების შემდეგ შექმნილი ეპარქიები. 1995 წლის 5 აპრილამდე დღევანდელი ვანისა და ბაღდათის ეპარქიები შედიოდა ქუთაის-განათის ეპარქიის შემადგენლობაში.

რადგანაც ბაღდათში არ არსებობდა საკათედრო ტაძარი, 1993 წლიდან გაჩნდა იდეა, რომ ასეთი სალოცავი აგებულყო.

ბაღდათის საკათედრო ტაძარი შედგება ორი სართულისაგან, პირველი სართული მდებარეობს მიწის ქვეშ და მისი აშენება დაიწყო 1993 წელს, ხოლო 1995 წლიდან, რაც ვანი-ბაღდათის ეპარქიამ ცალკე დაიწყო ფუნქციონირება, ტაძრის შენება დაჩქარდა და 1998 წლის 22 ივნისს ეკურთხა წმ. გიორგის სახელზე.

ტაძრის ქვედა სართულის აშენებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ბატონმა გურამ გენაძემ, რომელმაც გარდაცვლილი შვილის სულის სახსენებლად, დიდი შესანიერი გაილო საკათედრო ტაძრის მშენებლობის საქმეში.

2003 წელს დაიწყო ტაძრის მეორე სართულის შენება, რომელიც ივერიის წმ. ღვთისმშობლის სახელზე ეკურთხა 2011 წელს. აქედან გამომდინარე, აღინიშნება ტაძრის ორი დღე – აღდგომის მომდევნო სამშაბათი და 26 ოქტომბერი.

ბაღდათის საკათედრო ტაძარი მოპირკეთებულია ე.წ. „ბოლნისის ტუფით“, რომელიც ტაძრისათვის შეიძინეს ბატონებმა გურამ ქაშაკაშვილმა და თემურ კოხოდემ.

ტაძარი მოხატული არის ძმების დავით და ლევან ასპანიძეების მიერ. საკურთხევლის მოხატვა დააფინანსა თემურ კოხოდემ, ხოლო ტაძრის კედლები მოიხატა ადგილობრივი ბიუჯეტის თანხით.

2010 წელს ბაღდათის საკათედრო ტაძრის მშენებლობა მოინახულა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

ტაძრის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანეს ბატონებმა – თემურ კოხოდემ, გურამ გენაძემ, გურამ ქაშაკაშვილმა, ვაჟა ლორთქიფანიძემ და სხვებმა. ამ საქმეში ბაღდათელი მოქალაქეებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

ფინანსების გაჩენისთანავე იგეგმება გარე სამრეკლოს დამთავრება, პირველი სართულის მოწყობა და ტაძრის ეზოში საკვირაო სკოლისათვის შენობის აგება.

ჯუანხერ გვაგუშიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. საინფორმაციო, ინოვაციური ტექნოლოგიების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების განვითარების ფონდი  
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68  
ტელ: 595 538 536; 595 452 803  
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ჯობორჯიანი  
ტექნიკური რედაქტორი ლაშო ყიფიანი  
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:  
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე, ანეღინა ჭავჭავანიძე, ანა მაშანიშვილი, ნინო სახამბერიძე, ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯავადონდა  
ი/მ მამუჯა ჭოლაძის მიერ  
დაიბეჭდა  
შ.პ.ს. „ქოლორში“